საქართველო
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

N 42 6 12/03/2020

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელად წარსადგენი პროექტების განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 1 ნოემბრის №514 დადგენილების მე-2 მუხლის საფუძველზე:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების ფარგლებში, 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტები განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) სოფელ ზედა დიმში კვირიკაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია;

ბ) სოფელ დიმში ე.წ. ატეკის საუბნო გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები;

გ) სოფელ დიმში თავხელიძეების და მინაძეების საუბნო გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები;

დ) სოფელ მეორე ობჩაში ე.წ. საბუკიას უბნის ს/გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები;

ე) სოფელ მეორე ობჩაში ე.წ. ჭყეპნარას უბნის ს/გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები;

ვ) სოფ. ზედა დიმში მდ. ხანისწყალზე ნაპირსამაგრის მოწყობა.

2. ნება დაერთოს ბაღდათის მუნიციპალიტეტს მერს, პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების განხორციელების შესახებ წინადადება წარადგინოს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად.

3. დაევალოს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერს:

ა) 2020 წლის ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაითვალისწინოს პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების თანადაფინანსებისათვის საჭირო სახსრები;

ბ) პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტებისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მისამართზე: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. N11, ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში.

შალვა მშვილდაძე

საკრებულოს თავმჯდომარე